MES 8 22 0001324072

19/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.10.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:50სთ
საბჭოს თავჯდომარე : გოდერძი ბუჩაშვილი (III-VIII)
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანი (I-II)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;

3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვ ი ც ე - რ ე ქ ტ ო რ ი ;

8. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში'

10. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს პ რ ო ფ ე ს ო ტ ი ;

11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ ე ქ ტ ო რ ი ს მ ო ა დ გ ი ლ ე ს ა ს წ ა ვ ლ ო დ ა რ გ შ ი ;

13. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

14. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს უ ფ რ ო ს ი , პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;

15. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;

16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ა ს ო ც ი რ ე ბ უ ლ ი პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;

17. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა ჯუღელი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ	იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელი	I-II
2	სერგო ჭელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
3	ნონა ზუმბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
4	ლევან შავაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხელმძღვანელი	III
5	მანანა კევლიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
6	გაგა ბუიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
7	შალვა ჭკადუა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
8	მზია ღაღოლიშვილი		აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
9	გაიოზ ფარცხალაძე	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	IV-V
10	ენვერ ხალვაში		პროგრამის ხელმძღვანელი	
11	ნუგზარ ჭედია		პროგრამის ხელმძღვანელი	
12	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
13	ლელა თურმანიძე		დეკანი	
14	ნუგზარ ღომიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
15	ლალი კალანდაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
16	ელენე ჯღარკავა		დეკანი	
17	დავით წიკლაური		პროგრამის ხელმძღვანელი	
18	დიანა			

	მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI-VII
19	გიორგი ნატროშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
20	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	VIII
21	ემზარ ჯგერენაია		პროგრამის ხელმძღვანელი	
22	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ქეთევან ცხადაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	მარიამ ხომასურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	გიორგი არქანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	შალვა კვირკველია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მარიკა ტატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
10	ანა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის

სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტორნიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე) ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტორნიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე) ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1.პირველი საკითხი : შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24/06/2016 №20
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, წინანდლის ქ. 9 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - გოდერძი ბუჩაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
სხდომისთავმჯდომარემ სთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მაკა კარტოზიამ აღნიშნა, რომ "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "სამართლის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით შეფასება. შეფასების პროცესი დაეფუძნა ცენტრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტებისადმი წარდგენილ დოკუმენტაციას.
სეუ-ს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატა „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება"; სხვა სასწავლო კურსების თემატიკასთან და გამოყენებულ ლიტერატურასთან დუბლირების აცილების მიზნით, ამოღებული იქნა ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი", „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი" და „ძალის გამოყენების აკრძალვა საერთაშორისო სამართალში". შემოთავაზებულია რამდენიმე ახალი არჩევითი სასწავლო კურსი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4), „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთა რიპოზიცია.
ფაკულტეტის დეკანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასებისათვის და ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუდმივად მიმდინარეობს მისი განახლება და საჭიროებისამებრ დახვეწა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:21
დასრულებისდრო: 14:25

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

2. მეორე საკითხი : შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24/06/2016 №21
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, წინანდლის ქ. 9 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- გოდერძი ბუჩაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4), „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.
უსდ-მ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და სამართლის დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამაგისტრო პროგრამაში განახორციელა რიგი ცვლილებები. კერძოდ, მოდიფიცირდა სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან, ასევე სამართლის დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, დაზუსტდა და დაკონკრეტდა პროგრამის სწავლის შედეგები ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის გათვალისწინებით.
ამასთან, კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი იმუშავებდა სამართალში განსაკუთრებულად პოპულარული რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org, lexisnexis.com და სხვ. უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რჩევის გაცნობის შემდეგ, სეუ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მათი მხრიდან რჩევა გაზიარებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთა რიპოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისა და შეფასებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:21
დასრულების დრო: 14:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. მესამე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№72, 24.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქართული უნივერსიტეტის ქN1, თელავი,2200, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
ცილება განაცხადა თეა მჭედლურმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 19 და 20 სექტემბერს მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე განხილულ იქნა სამაგისტრო ნაშრომები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის მოახსენა ზოგადი ხედვა და რჩევა.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. კურსი „ბიომევენახეობა“ მოითხოვს საერთაშორისო ანალოგების მსგავსად ჩამოყალიბებას. საგანში ფართოდაა გადაფარული საგანი „ამპელოგრაფია“-ს საკითხები, კერძოდ ადგილობრივ ჯიშებთან დაკავშირებით. ასევე გადაფარვაა „ამპელოგრაფიასა“ და „თანამედროვე ტენდენციები მევენახეობაში“, კერძოდ თემაზე ვაზის ფილოქსერაგამძლე საძირეთა შესახებ.
2. საჭიროა არჩევითი საგნებიდან ძირითადში გადმოვიდეს შემდეგი საგნები: ვაზის ეკოლოგია და ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები.
3. რეკომენდებულია, სავალდებულო საგნებიდან არჩევითში გადავიდეს შემდეგი საგნები: ამპელოგრაფია, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა, ახალი ტენტენციები მიკრობიოლოგიაში, ვაზის ბიოქიმია და ბიომევენახეობა. ამ ცვლილებების შედეგად პროგრამა გახდება უფრო მოქნილი და ეფექტური.
4. წინაპირობებში გაწერილი უნდა იყოს, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება სხვა სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირების შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფას.
5. ბიომევენახეობა ანუ ორგანული მევენახეობა უნდა დაიწყოს შესავლით და შესაბამისად ორგანული მევენახეობის ისტორია რეგიონში და მსოფლიოში. ეკოლოგიური მეურნეობის არსი, ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება, მავნებელ-დაავადებათა ორგანული მართვა, ნიადაგის განოყიერება, ამ თემების სრულყოფილი დაფარვა მხოლოდ მითითებული ლიტერატურით შეუძლებელია, შესაბამისად დამხმარე ლიტერატურაში საჭიროა დაემატოს შესაბამისი უცხოური ლიტერატურა.
6. რეკომენდებულია, განხორციელდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტების გადახედვა, რაც გულისხმობს შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების კორექტირებას, პროგრამის შეფასების გეგმის შედგენას შესაბამისი აქტივობების, მათი ვადების/პერიოდების/პერიოდულობის მითითებით, შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრას.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, მარიამ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამაზე განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ საგნების გადანაცვლება, ძირითადი კურსები არ არის რელევანტური. რეკომენდაციების შესრულების შემდგომაც პროგრამა შედეგზე ვერ გავა, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენს არც ბიოლოგიისა და არც აგრონომიის პროგრამას. შესაბამისად, თავმჯდომარის მიერ გაჟღერებული რეკომენდაციები, კერძოდ შემოთავაზებული მეორე და მესამე რეკომენდაციით, კიდევ უფრო მცირდება მეღვინეობის კომპონენტი. დაწესებულებამ კარგად წარმოადგინე ანალოგი პროგრამების

მაგალითები პროგრამაში, შესაბამისად, პროგრამა შედგენილია საერთაშორისო ანალოგების გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა, ასევე, განმარტა, რომ როდესაც პროგრამის სტრუქტურაზე არის საუბარი, არ უნდა იყოს მითითებული ის საკითხები, რაც ამჟამად კანონმდებლობაში არ მოქმედებს. ანალოგიურად შუალედური კვალიფიკაცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია არ ენიჭება, ხოლო დოკუმენტში აღნიშნული მოცემულია , კერძოს როგორც აკადემიურ, ასევე, პროფესიული პროგრამების შემთხვევაში, როგორ ხდება კვალიფიკაციის მინიჭება. ამასთან პროგრამის ფარგლებში არ იყო მოცემული გეგმა, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პროგრამის შემოწმება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარიამ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებასაც და ექსპერტებს ჰქონდათ საკმაოდ შეზღუდული ვადები. ამასთან აუცილებელია, რომ მევენახეობა მეღვინეობის ნაწილებს პროგრამა შეიცავდეს თანაბრად. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ექსპერტთა თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება, სტუდენტს დაეკარგება შესაბამისი კვალიფიკაცია , ამასთან საკმაოდ შემცირდება მეღვინეობის ნაწილი. ამასთან დასკვნის შემუშავების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ არ იქნა სხვა ექსპერტის აზრი გათვალისწინებული, მის მიერ იქნა აღნიშნული, რომ ექსპერტთა გუნდის წევრისთვის უმჯობესი იქნებოდა მოსაზრების თავად აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალბატონმა მარიამმა თავისი განსხვავებული აზრი დააფიქსირა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, როდესაც ჯგუფის თავმჯდომარის მიერ განმარტებული იქნა რომ ხელმოწერის ქვემოთ მას შეეძლო თავისი განსხვავებული აზრი მიეთითებინა დასკვნის დოკუმენტში, თუმცა აღნიშნული არ იქნა მომზადებული და შესაბამისად, ექსპერტმა ამჯობინა საბჭოზე თავისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება. რაც შეეხება იმ აზრს, რომ პროგრამა ვერ გავა შედეგზე, ამ აზრს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე სრულიად არ იზიარებს.
ექსპერტმა, მარიამ ხომასურიძემ განმარტა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციებით ირღვევა ბალანსი მევენახეობასა და მეღვინეობას შორის, განსაკუთრებით როდესაც საუბარია სამაგისტრო პროგრამაზე. ამასთან, თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული პრაქტიკა საერთოდ არ იძებნება საერთაშორისო ანალოგებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ თელავის უნივერსიტეტისთვის აღნიშნული მიმართულება არის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, სწორედ ამ სფეროში ხორციელდება ყველაზე წარმატებული პროექტები, მათ შორის კვლევების კომერციალიზაციის კუთხით, სადაც დამსაქმებლები მაქსიმალურად არიან ჩართულნი. შესაბამისად, სწორედ აქედან არის განპირობებული დასაქმების უმაღლესი ხარისხი 97%.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ კრძალავს ბაკალავრის კურსდამთავრებულმა შეიცვალოს მისი მიმართულება. რაც შეეხება პროგრამის ფარგლებში მოცემულ საკითხს, სამაგისტრო პროგრამაზე ,, მევენახეობა და მეღვინეობა“ მიღების ერთ-ერთი პირობაა, მისაღები გამოცდა სპეციალობაში, ის მოიცავს ისეთ საკითხებს მევენახეობასა და მეღვინეობაში, რომელიც გამოავლენს მაგისტრანტობის კანდიდატის საბაზისო ცოდნას. შესაბამისად მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს დადებით შეფასებას შეძლებს სწავლა გააგრძელოს აღნიშნულ პროგრამაზე.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ვერ დაეთანხმდება, რადგან სასწავლო კურსის ,,ბიომევენახეობა'' საკითხებში (თემა III და IV) აპრობირებული და სტანდარტული ვაზის ჯიშები განიხილება მისი გარემო-ფაქტორებისადმი ადაპტაციისა და მავნე ორგანიზმების

წინააღმდეგ რეზისტენტობის მიხედვით. ხოლო საგანში ,,ამპელოგრაფია“ განხილულია როგორც ადგილობრივი ისე ინტროდუცირებული ვაზის ჯიშები - ფერის, სამეურნეო მიმართულების და სხვა ამპელოგრაფიული პარამეტრების მიხედვით. რაც შეეხება, სასწავლო კურსებს ,,ამპელოგრაფია“ მოიცავს ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე ჰიბრიდების შესახებ საკითხს, რომელშიც განიხილება ვაზის სხვადასხვა ჰიბრიდის ამპელოგრაფიული აღწერა (ადაპტაცია-აფინიტეტის საკითხები), ხოლო ,,თანამედროვე ტენდეციები მევენახეობაში'' წარმოდგენილი საკითხი ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა და სანამყენეთა სადედეების ნარგაობების მოწყობა, მოვლის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, განიხილება სადედეების მოწყობის აგროტექნოლოგიური პროცესები. გამომდინარე აქედან, ამ ორ სასწავლო კურს შორის არ არის არანირი გადაფარვა.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ვერ დაეთანხმდება, რადგან სასწავლო კურსი ,,ვაზის ეკოლოგია“ აღწერს იმ კლიმატურ გარემოს სადაც ხდება ვაზის ზრდა-განვითარება, ასევე მისი გავრცელების პირობებს და ეკოლოგიურ ფაქტორებს, წარმოდგენილი საკითხები სიღრმისეულად ისწავლება ,,ბიომევენახეობის“ და ,,ამპელოგრაფიის“ სასწავლო კურსებში, შესაბამისად ვაზის ეკოლოგია წამოადგენს დამატებით მასალას, რომელიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ საკითხის სხვა მხრივ შესწავლას და დამატებითი კომპეტენციების განვითარებას, განსაკუთრებით იმ მაგისტრანტებისათვის, რომელთაც წინა საფეხურის განათლება არ მიუღია დარგში. ხოლო სასწავლო კურსი ,,ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები” არის შეთავაზებული ძირითადად იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც წინა საფეხურის განათლება არ აქვთ მიღებული აგრარულ ან მონათესავე დარგებში. აღნიშნული საკითხები ფართოდ შეისწავლება საბაკალავრო საფეხურზე და შესაბამისად დარგის ბაკალავრებს შესაძლოა აღარ დასჭირდეთ კომპეტენციების თუ ცოდნის გაღრმავება.

რაც შეხება მე-3 რეკომენდაციას, მასში მოცემული სასწავლო კურსები არის მევენახეობა მეღვინეობის ძირითადი საგნები. ‚ამპელოგრაფია“ - არის მევენახეობა და მეღვინეობის ერთ-ერთი ძირითადი საგანი, რომელიც მნიშვნელოვან კომპეტენციებს და უნარებს აძლევს როგორც მევენახეს, ისე მეღვინეს, რადგან იგი შეისწავლის ვაზის ჯიშებს. სასწავლო კურსი ,,მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა“ მაგისტრანტს აძლევს შესაძლებლობას არ შემოიფარგლოს მხოლოდ საქართველოში დაგროვილი მიღწევებით დარგში და გაიზიაროს/ინტეგრირება მოახდინოს ცნობიერების ამაღლებასა და კვლევითი ინტერესების გამრავალფეროვნებისთვის, სხვა ქვეყნებში დაგროვილი ტექნოლოგიური და აგროტექნოლოგიური მეთოდების შესწავლაში, რაც დაეხმარება სტუდენტს კონკურენტულ გარემოში შექმნას ახალი პროდუქტი.

უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ მევენახესა და მეღვინისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო კურსი ,,ახალი ტენდენციები მიკრობიოლოგიაში“, რადგან მთავარი როლი აქვთ საფუარებს ღვინის წარმოების პროცესში. მხოლოდ მათი მონაწილეობით მიმდინარეობს ალკოჰოლური დუღილი, ასევე მიკროორგანიზმებს აქვთ განმსაზღვრელი როლი ღვინის უვნებლობასა და უსაფრთხოებაში. ახალი ტენდენციები მიკრობიოლოგიაში აუცილებელია დარგის განვითარებისათვის, შესაბამისად მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში შედის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში. პროგრამა ჩართულია საერთაშორისო პროექტში ,,VITAGLOBAL“ სადაც 13 ქვეყნის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი მუშაობისას შედგა მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი. შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია ისწავლებოდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში. სასწავლო კურსი ,,ვაზის ბიოქიმია“ სიღრმისეულად შეისწავლის ვაზში მიმდინარე ყველა ბიოქიმიურ პროცესს ვაზის განვითარების ფაზების მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც მევენახისათვის, ისე მეღვინისათვის, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია ყურძნის წვენის და შემდეგ ღვინის შემადგენილობაზე.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს, რაც გულისხმობს კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლო წლების

ცვლილებების ასახვას შიდა რეგულაციაბში, თუმცა პროგრამების შემუშავების ნაწილში უნივერსიტეტი იმყოფება ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოს დანერგვის პროცესში და ახალი პროგრამები მუშავდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ნორმების თანახმად. აქვე მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამები გარდამავალ რეჟიმში, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 120/ნ ბრძნებით განსაზღვრულ ნორმებს იყენებს. შესაბამისად ახალი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დანერგვის პროცესის დასრულებამდე უნივერსიტეტი ეტაპობრივად განახორციელებს აღნიშნულ რეგულაციაში ცვლილებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ეხება სასწავლო კურსებს, რაც საბოლოო ჯამში სტრუქტურის გადაწყობას გამოიწვევს. ამ დროს ექსპერტების შეფასებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების ქვესტარნდარტები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციიის სტანდარტებთან, მხოლოდ 1.4 კომპონენტი არის შეფასებული როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. აქედან გამომდინარე, თუ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და გარკვეული სასწავლო კურსები საჭიროებენ სავალდებულო საგნებში გადასვლას, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის აღნიშნული ერთმანეთთან.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რამდენს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ დაწესებულების წარმომადგენლებს დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება და ხომ არ იგეგმება გარკვეული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ დააზუსტა თუ როგოდ ხდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება და ქულების გადანაწილება დაცვის პროცესში, ასევე ნამდვილად ადგილი აქვს თუ არა ერთჯერად შეფასებას. ამასთან, პროგრამის მიღების კრიტერიუმებში მითითებულია B1 ინგლისური დონე, მაშინ როცა პროგრამის ფარგლებში საკმადო ძლიერად ისწავლება ინგლისური ენა. აქვე აღსანიშნავია, რომ დარგობრივი ინგლისურის სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის მოცემული ინგლისუირ ენის სახელმძღვანელო, მოცემულია მხოლოდ მეღვინეობის.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ რეკომენდაციებში არის ჩანაწერი სავალდებულო სასწავლო კურსის არჩევითში გადასვლასთან დაკავშირებით, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა რომ მოცემული სასწავლო კურსები რა სწავლის შედეგებზეც გადიოდნენ ეს შედეგები აქვს თუ არა დაწესებულებას და თუ აღნიშნული ასახულია, მაშინ რა საგნები გავა ამ შედეგზე და ამით ხომ არ დაირღვევა აღნიშნული ბალანსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დარგობრივი ინგლისური ენის გაუმჯობესება პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს. უნივერსიტეტის სხვადასხვა ბაზებშია ჩართულია, საიდანაც მუდმივად ხდება ახალი და თანამედროვე ლიტერატურით პროგრამის შევსება.

ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა ფასდება 18 საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ერთჯერადად, მისი დაცვის შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ კომისიის წინაშე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განსაზღვრული უნდა იყოს ხელმძღვანელის, რეცენზენტებისა და კომისიის შეფასებები შესაბამისი პროპორციების დაცვით. კომისიის წევრთა საშუალო შეფასების მაქსიმალური ქულაა - 60, ხოლო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მაქსიმალური ქულა - 40.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, სახელმძღვანელოსთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია მეღვინეობისა და მევენახეობის ინგლისური ტერმინოლოგიის ცოდნა. რაც შეეხება სწავლების დონეს, მაგისტრატურას სტუდენტი ასრულებს ინგლისური B2 ცოდნით.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამა არის მევენახეობა და მეღვინეობის და კვალიფიკაცია ენიჭება ორივეში. პროგრამა გათვლილია ზუსტა ისე, რომ სტუდენტმა მიიღოს ორივე კვალიფიკაცია ერთნაირად და ის სასწავლო კურსები რომლებიც ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად გადატანილი უნდა იქნეს არჩევით სასწავლო კურსებში, არის ძირითადი პროგრამის შედეგზე გამსვლელი კურსები. შესაბამისად, ამ კურსების არჩევით სასწავლო კურსებში გადატანით პროგრამა შედეგზე ვერ გავა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაციებით მოთხოვნილია სასწავლო კურსების გადანაცვლება და არა სრული სტრუქტურის ცვლილება. სასწავლო კურსების გადანაწილების მიზანი არის ის, რომ არჩევით საგნებთან მიმართებაში სტუდენტს ჰქონოდა არჩევანის მეტი საშუალება.
15:49 - საბჭოს სხდომას შეუერთდა თეა მჭედლური.
ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში სტუდენტს ექნება უფრო მოქნილი საშუალება, რომ შეარჩიოს სასურველი არჩევითი სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში, საგნების სრულად ამოღებას, ან გაუქმებას არ ითხოვს ექსპერტი, საჭიროა, უბრალოდ, მათი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებში გადატანა. შეიძლება ასევე გაკეთდეს ცალკე კონცენტრაციები და ცალ-ცალკე დაჯგუფდეს მეღვინეობა და მევენახეობა. ამით პროგრამა არანაირად არ ზარალდება, პირიქით შესაძლოა გახდეს უფრო ეფექტური.
15:54 - საბჭოს სხდომას შეუერთდა ხათუნა თოდაძე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:55
დასრულებისდრო: 16:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და დაამატა რეკომენდაციები/რჩევები, რამაც შეცვალა სტანდარტის შეფასებები: კერძოდ 1.4 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად პირველი სტანდარტი განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ცვლილება ასევე შეეხო 5.1 კომპონენტს, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მეხუთე სტანდარტი განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაცია:

- ბიომევენახეობა ანუ ორგანული მევენახეობა უნდა დაიწყოს შესავლით და შესაბამისად ორგანული მევენახეობის ისტორია რეგიონში და მსოფლიოში. ეკოლოგიური მეურნეობის არსი, ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება, მავნებელ-დაავადებათა ორგანული მართვა, ნიადაგის განოყიერება, ამ თემების სრულყოფილი დაფარვა მხოლოდ მითითებული ლიტერატურით შეუძლებელია, შესაბამისად დამხმარე ლიტერატურაში საჭიროა დაემატოს შესაბამისი უცხოური ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტების გადახედვა, რაც გულისხმობს შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების კორექტირებას, პროგრამის შეფასების გეგმის შედგენას შესაბამისი აქტივობების, მათი ვადების/პერიოდების/პერიოდულობის მითითებით, შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრას."
- ენოქიმიისა და ვაზის ბიოქიმიის საგნებს სჭირდებათ წინაპირობა. გავლილი უნდა ქონდეთ ზოგადი ქიმიისა და ზოგადი ბიოლოგიის საგნები. ასეთების არ არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული საგნები, რაც უზრუნველყოფს მოცემული საგნებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნას.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში გაწერილი უნდა იყოს, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება სხვა სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირების შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფას.
- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაფიქსირდეს საფეხურის შესაბამისი ინგლისური ენის რელევანტური დონე (B 2 დონე)

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის დასახელება ან დარჩეს ძველი სახელწოდებით „მევენახეობამეღვინეობა“ ან ხარისხის მინიჭებისას მიეცეს სწორი ფორმულირება და ნაცვლად „მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი“-სა, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი“.
- სასურველია, პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთ სასწავლო კურსს, მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის რეგულირება, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას დარგის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებას, განსაკუთრებით კი მენეჯერის, ხელმძღვანელის პოზიციაზე.
- სასურველია სილაბუსში ,,ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“ სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი და წარმოდგენილი წინადადებები: - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის საერთაშორისო სტანდარტები; - ღვინის სერვირების საერთაშორისო სტანდარტი; - ენოგასტრონომიული შეხამების საერთაშორისო სტანდარტი. შესწორდეს შემდეგი ფორმულირებით: - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის, ღვინის სერვირებისა და ენოგასტრონომიული შეხამების თანამედროვე მიდგომები, მეთოდები და საერთაშორისო პრაქტიკა.
- სასწავლო კურსის „ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“- მიზნებიდან გამომდიანარე, სასურველია, მეტი დრო ეთმობოდეს ღვინის ზადისა და ნაკლის საკითხების სწავლებას.

- სასურველია, სილაბუსში ,,ენოქიმია“ დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი: ლაბორატორიული სამუშაო N 5: პოლიფენოლების განსაზღვრა ფოლინ-ჩიოკალტეუს მეთოდით და ნაცვლად პოლიფენოლებისა ჩაიწეროს ჯამური ფენოლების განსაზღვრა.
- სასურველია დარგობრივი უცხო ენის, დარგის შესაბამისი კანონმდებლობისა და საოფისე პროგრამების გაძლიერება, რაც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესში.
- ხელმძღვანელობისთვის წინასწარი მემორანდუმის გაფორმება არაა სასურველი და ეს შეზღუდვა უმჯობესია არ იყოს და მოგვარდეს დაწესებულებას, პოტენციურ ხელმძღვანელს და მის დამსაქმებელს შორის, მას შემდეგ რაც სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის იქნება შეთანხმება. თანახელმძღვანელის შერჩევისას ვფიქრობთ მემორანდუმის წინასწარ გაფორმება, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება და იგი უნდა იყოს თავისუფალი. ხოლო მას შემდეგ რაც შეირჩევა ხელმძღვანელი, შესაძლოა გაფორმდეს ინდივიდუალური ან დაწესებულებებს შორის შეთანხმება.
- აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააქტიუროს კვლევითი საქმიანობა, რაც სასურველია აისახოს თანამედროვე პუბლიკაციებში, იმ ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ იმპაქტ ფაქტორი.
- სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს განემარტოს და ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მეცნიერებისა და სამეცნიერო ბაზების მოხმარებისა და მნიშვნელობის შესახებ.
- მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს პროგრამის პერსონალის კონსულტირება განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის მიზნების და შედეგების ფორმულირება, მათი გაზომვადობა და სხვ.
- მიზანშეწონილია დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პროგრამის მოდიფიცირების დასრულებამდე (საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე), რაც უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში ცვლილებების დროულად ასახვას.
- სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვალიდურობას.
- მიზანშეწონილია გაუქმდეს დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“ დღეისათვის არარელევანტური ჩანაწერი: „უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“.
- მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები.
- მიზანშეწონილია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული და იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.
- საჭიროა არჩევითი საგნებიდან ძირითადში გადმოვიტანოთ ვაზის ეკოლოგია და ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდების საგნები.
- სავალდებულო საგნებიდან არჩევითში გადავიტანოთ შემდეგი საგნები: ამპელოგრაფია, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა, ახალი ტენტენციები მიკრობიოლოგიაში, ვაზის ბიოქიმია და ბიომევენახეობა. ამ ცვლილებების შედეგად პროგრამა გახდება უფრო მოქნილი და ეფექტური.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტორნიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტორნიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტ ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№718782,16/07/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ფიროსმანის ქ. N12, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- თამარ სირაძემ, ანზორ ბერიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და თეა მჭედლურმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის" აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ანგარიში რეკომენდაციების შერულების თაობაზე და შესაბამისი დოკუმენტაცია, საიდანაც დასტურდება რომ რეკომენდაციები შესწავლილია და შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 16:46
დასრულებისდრო: 16:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტ ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტ ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№726053 20.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველისქ. No35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი,ბათუმი,6010,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თთვითაცილება განაცხადა - თამარ სირაძემ, ანზორ ბერიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და თეა მჭედლურმა

აფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიში წარმოდგენილია 2022 წ. 15 ივლისს, რაც შეესაბამება საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადას. სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭომ 2022 წლის 14 ივლისს მიიღო № 06-01/51 დადგენილება, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების ანგარიშის მომზადება.
წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით 1 რეკომენდაცია არ არის შესრულებული, შესრულებულია 2 და 3 რეკომენდაციები.
რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, რეკომენდაცია, რომელიც სწავლის შედეგების ცვლილებას ეხება, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში არ არის წარმოდგენილი, თუმცა დადგენილება გულისხმობს ყველა რეკომენდაციის შესრულებას. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 1 რეკომენდაციის ცვლილება ეხებოდა სწავლის შედეგების ზოგიერთ არაზუსტ ტერმინს. კერძოდ: პროგრამის მიზანი გ) და შედეგი - უნარი 2.2-ში „ფიზიკოსივით ფიქრი“, როგორც კრიტერიუმი, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკიდან გადმოღებული მოსაზრების თანახმად (სტენფორდის უნიერსიტეტი): the ability to apply the principles of physics to solve new and unfamiliar problems. This ability is often described as "thinking like a physicist."თუმცა აღსანიშნავია, რომ სტენფორდის უნივერსიტეტს აღნიშნული ტერმინი არ აქვს გამოყენებული, როგორც პროგრამის მიზანი ან სწავლის შედეგი. უბრალოდ, აღწერის ნაწილში მოხსენიებული აქვს, რომ კონკრეტული უნარი ხშირად მოიხსენიება, როგორც „ფიზიკოსივით ფიქრი.“ ამდენად, მიზანშეწონილია, რომ ეს ტერმინი არ იქნეს გამოყენებული როგორც პროგრამის კონკრეტული შედეგი და იგი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, როგორც მიღწევადი და რეალისტური. ასევე სწავლის შედეგებსა და მიზნებში ხშირად გამოყენებულია ტერმინი „ფართო ცოდნა“, რაც საბაკალავრო პროგრამასთან არარელევანტურია და გაბნეული, მისი კონკრეტული შეფასებით შეცვლა - საბაზისო, ღრმა ცოდნა უფრო შეესაბამება სწავლების დონეს.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს თანამშრომლობისა და კონსტრუქციული ვიზიტისთვის. დასკვნაში არსებულ რიგ შეფასებებთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია. კერძოდ დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტის ასეთ მკაცრ შეფასებას პირველი რეკომენდაციის არ შესრულებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულება. დაწესებულებას აქვს მიღებული პროგრამის

შემუშავების გეგმა, სადაც მოცემულია რომ სამუშაო ჯგუფი რომელიც იქმნება კონკრეტული პროგრამაზე სამუშაოდ, იქმნება ამ პროგრამის განხორციელების პერიოდში. აღნიშნულმა ჯგუფმა იმუშავა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე და შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.
რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალის-წინებით, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გუნდმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რედაქტირებული ფორმულირება, რისთვისაც გამოიყენა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მონაწილეობით განმეორებით იქნა განხილული პროგრამის მიზნების რუკა, სწავლის შედეგების მიღწევის დონე სასწავლო კურსების მიხედვით, სწავლის შედეგების განაწილების რუკა სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით, გადამუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შეფასების მეთოდებს, სამიზნე ნიშნულებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს და ანალიზის შედეგების განზოგადებისა და გაუმჯობესების გზებს. მომზადებული ცვლილებები ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად განიხილა და დამტკიცა ბსუ-ს აკადემიურ საბჭომ.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აკადემიური საბჭოს მე-9 დანართში წარმოდგენილია განახლებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ცვლილებები შევიდა როგორც სწავლის შედეგებში, ასევე სილაბუსებში. ექსპერტის მიერ განმარტებული მსჯელობა დასკვნაში ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ხარვეზიანია, აღნიშნული ტერმინი აქტიურად არის დანერგილი და გამოყენებული. საუბარია უნარზე, წარმოსახვისა და იმპროვიზაციის უნარი, რომელიც პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს.
ექსპერტმა განმარტა, რომ ტერმინი არასწორად იქნა გამოყენებული, რაც არ იძლეოდა საშუალებას გაგების თუ რა შედეგებზე გადის პროგრამა და როგორ, უმჯობესი იქნებოდ გამოყენებული ყოფილიყო მკაფიო ტერმინები.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განხორციელდა სწავლის შედეგების ფორმულირება, შესაბამისად თუ ადრე მოცემული იყო შეუძლია ფიქრი, ახალ მოცემულია ფიქრობს, აკეთებს, რაც ასახულია ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ცვლილება შევიდა მხოლოდ უნარების და არა ცოდნა გაცნობიერების პუნქტში.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყების დრო: 17:20სთ
დასრულების დრო: 17:30სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

6. მეექვსესაკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე) ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესისადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი,მენეჯმენტი, საბუღალტროაღრიცხვა) (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.07.2021 №746555
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის #1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა და გურანდა ჭელიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსეს საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 27.07.2021. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 27 ივლისი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. კერძოდ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბიზნესის სკოლის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ბიბლიოთეკის თანამშრომლები. რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, განახლდა ლიტერატურა, გაუმჯობესდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაძლიერების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები და პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის საბჭო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა;
2. ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
3. რეკომენდირებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურ განსაზღვრა. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები;
4. რეკომენდირებულია, მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება;
5. რეკომენდირებულია, პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით;
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
7. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში;
8. რეკომენდირებულია, გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განხორციელდა ყველა რეკომენდაციის შესრულება და შესაბამისად გატარდა აუცილებელი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 17:50
დასრულებისდრო: 18:00
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდესაკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.07.2021 №746557
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, თბილისი,პაატა სააკაძის #1

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა და გურანდა ჭელიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეშვიდესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.
შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 27.07.2021. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 27 ივლისი.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. კერძოდ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბიზნესის სკოლის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის დირექტორი), პროგრამის ხელმძღვანელი, თანა ხელმღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, და ბიბლიოთეკის თანამშრომლები. რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, განახლდა ლიტერატურა, გაუმჯობესდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, აკად პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაძლიერების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები და პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის საბჭო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში;
2. რეკომენდებულია. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები;

4. რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
6. რეკომენდირებულია. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
7. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განხორციელდა ყველა რეკომენდაციის შესრულება და შესაბამისად გატარდა აუცილებელი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა ექსპერტს მე-6 რეკომენდაციის შესრულების საკითხის განმარტებისკენ. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებასთან დააზუსტა თუ რამდენად გაიზარდა ჩართულობის დონე.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან ზედმიწევნით შეისწავლა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი ტიპის სახელშეკრულებო სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაძლიერებას. შესაბამისად გააქტიურდა აკად პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და ორი სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, მომზადდა ორი პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის და გამოქვეყნდა ორი სტატია 2020-2021 წლებში.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტი ხშირად აცხადებს შიდა გრანტებს, სადაც პროფესორებთან ერთად ჩართულნი არიან ასევე სტუდენტებიც, რაც ადასტურებს მათ ჩართულობას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში გაიზარდა აფილირებული პროფესორების რაოდენობა. რაც შეეხება პროგრამას, კონტრაქტები ვიზიტისას იყო საპილოტე ვერსია, ხოლო შემდგომ მოხდა მათი დამატებით გაფორმება ახალ პერსონალთან. აქედან გამომდინარე, პროგრამას დაემატა ორი ახალი აფილირებული პროფესორი, რომლებსაც გარდა საგნების სწავლებისა ვალდებულებად გაწერილი აქვთ სამეცნიერო საქმიანობა და საგრანტო კონკურსებში ჩართულობა. ამასთან პროგრამაზე უზრუნველყოფილია სტუდენტებისა და დოქტორანტების ჩართულობაც დამატებით კვლევით გრანტებში.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 18:20

დასრულებისდრო: 18:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

8. მერვესაკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№45168 20.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების

თაობაზე ანგარიში წარმოადგინა საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის (2022 წლის 29 ივნისამდე) დაცვით, 2022 წლის ივნისში. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე და ასახვაზე მუშაობდა ჯგუფი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
2. რეკომენდირებულია, დამსაქმებლებთან/ პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები/ ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.

პირველი რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა სამაგისტრო პროგრამის აღწერაში/კურიკულუმში. რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ექსპერტმა გამოითხოვა მემორანდუმები. თავად ანგარიშშიც მითითებული იყო, რომ მემორანდუმები არის ზოგადი ხასიათის და მასში ვერ იქნება ასახული ის რასაც რეკომენდაცია ითვალისწინებდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ოთხი მემორანდუმი, რომლებიც არის საკმაოდ ზოგადი ხასიათის, დაახლოებით ორ გვერდიანი, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმსა არა პროგრამის ფარგლებში არამედ, დაწესებულებასა და სხვადსხვა ინსტიტუტებს შორის.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან და აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ერთჯერადია და ის არ ეწინააღმდეგება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას“. მართალია, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასება მთლიანი შეფასების ნაწილია, თუმცა მათ მიერ ნაშრომის დაცვამდე ქულის დაწერა ნიშნავს, რომ შეფასება არ ხდება ერთჯერადად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს აღნიშნულ კანონმდელობაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის N105/ნ ბრძანების მიხედვით „სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას“. შესაბამისად, არსებული პრაქტიკით, ხელმძღვანელი და რეცენზენტი საერთოდ აღარ წერენ ქულას. ნაშრომი ფასდება მხოლოდ ერთი დასკვნითი შეფასებით, რომელიც იწერება მისი დაცვის დღეს შემფასებელი კომისიის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება შესრულებულად.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, ხელმძღვანელებს და რეცენზენტებს დაეგზავნათ „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.“ შესაბამისად, რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის ერთჯერადი, უბრალოდ შეფასებას აქვს სხვადასხვა კომპონენტები, რომელშიც წილი გადანაწილებულია ხელმძღვანელზე, რეცენზენტსა და დაცვის კომისიაზე, შესაბამისად 100 ქულიანი შეფასება ამ პირებზე არის გადანაწილებული.
სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 18:40
დასრულებისდრო: 18:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “სოციოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გფანხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 04 ოქტომბრის 18:50სთ.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით